



სურსათის ფასები და კვებითი ხარისხი საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები

Food Prices and Nutritional Quality in Georgia: Socio-Economic and Technological Factors

doi <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.9>

ნინო ძირკველიშვილი^{1a}, თამთა უტნელიშვილი^{2b}

Nino Dzirvelishvili^{1a}, Tamta Utnelishvili^{1b}

¹ აგრარული მეცნიერებისა და ქიმიური ტექნოლოგიების ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

² სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

¹ Faculty of Agricultural Sciences and Chemical Technologies, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

² Faculty of Social Sciences, Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

^a n.dzirvelishvili@gtu.ge ^b t.utnelishvili@gtu.ge

აბსტრაქტი

შესავალი: სურსათის ფასსა და კვებით ხარისხს შორის არსებული დისბალანსი თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ უმთავრეს დეტერმინანტს წარმოადგენს. გლობალური და ლოკალური ტენდენციები ადასტურებს, რომ ნუტრიციულად სრულფასოვანი პროდუქტები ხშირად ხასიათდება მაღალი საბაზრო ღირებულებით, რაც ენერგეტიკულად მკვრივი, თუმცა ნუტრიციულად ღარიბი საკვების მოხმარების ზრდას განაპირობებს. ნაშრომის მიზანია საქართველოში სურსათის ფასისა და კვებითი ხარისხის ურთიერთდამოკიდებულების კომპლექსური ანალიზი, სოციალურ-ეკონომიკური შედეგების შეფასება და იმ ტექნოლოგიური თუ მაკროეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობის კვებით სტატუსზე. **მეთოდები:** კვლევა ეფუძნება შერეული მონაცემების ანალიზს, მათ შორის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), მკვლევარების ფუნდამენტურ ნაშრომებს. ემპირიულ ბაზისად გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა (Geostat) და CRRC Georgia-ს 2024 წლის აქტუალური მონაცემები. კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს მეორეულ მონაცემთა შედარებით ანალიზს, ფასების დინამიკის შეფასებას და სოციალურ-ეკონომიკური ინდიკატორების კორელაციას კვებით ხელმისაწვდომობასთან. **შედეგები:** კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მაღალი იმპორტდამოკიდებულება, ფასების ცვალებადობა და შემოსავლების გამოხატული უთანასწორობა პირდაპირ აისახება მოსახლეობის კვებით არჩევანზე. ულტრა-დამუშავებული პროდუქტების მაღალი ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა კორელაციაშია



საქართველოში არაგადამდები დაავადებების (სიმსუქნე, დიაბეტი) პრევალენტობის ზრდასთან დადგინდა, რომ რეგიონული განსხვავებები და ტექნოლოგიური ჩამორჩენა შენახვა-გადამუშავების ჯაჭვში დამატებით ბარიერს ქმნის ჯანსაღი პროდუქტების ფასების სტაბილურობისთვის. **დასკვნა:** კვებითი ხარისხის გაუმჯობესება მოითხოვს მულტისექტორულ მიდგომას, რომელიც გააერთიანებს ეკონომიკურ სტიმულირებას, ნუტრიციულ განათლებას და მკაცრ ტექნოლოგიურ რეგულაციებს. სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად პრიორიტეტულია სახელმწიფო ინტერვენცია სკოლის კვების პროგრამების, ადგილობრივი წარმოების მხარდაჭერისა და სურსათის ფორტიფიკაციის მეთოდების დანერგვის გზით.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკური ხელმისაწვდომობა, კვებითი ხარისხი, ფასების სტაბილურობა, სოციალური უთანასწორობა, ულტრა-დამუშავებული საკვები, საქართველო

რეკომენდირებული ციტირება: ნინო ძირკველიშვილი, თამთა უთნელიშვილი. (2026). სურსათის ფასები და კვებითი ხარისხი საქართველოში: სოციალურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური ფაქტორები. ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია, 10 (1). DOI: <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.9>.

Abstract

Introduction: The imbalance between food price and nutritional quality represents a critical determinant of contemporary public health. Global and local trends confirm that nutrient-dense products often carry a higher market value, leading to increased consumption of energy-dense but nutritionally poor foods. This article aims to conduct a complex analysis of the relationship between food prices and nutritional quality in Georgia, evaluate the socio-economic consequences, and identify the technological and macroeconomic factors influencing the population's nutritional status. **Methods:** The study is based on a mixed-data analysis, incorporating fundamental works from the World Health Organization (WHO), the Food and Agriculture Organization (FAO), Drewnowski, and Monteiro. The empirical basis utilizes current 2024 data from the National Statistics Office of Georgia (Geostat) and CRRC Georgia. The methodology includes comparative analysis of secondary data, evaluation of price dynamics, and the correlation of socio-economic indicators with nutritional accessibility. **Results:** The study reveals that high import dependency, price volatility, and significant income inequality directly impact the dietary choices of the population. The high physical and financial accessibility of ultra-processed products correlates with the rising prevalence of non-communicable diseases (obesity, diabetes) in Georgia. It was established that regional disparities and technological gaps in the storage-processing chain create additional barriers to the price stability of healthy products. **Conclusion:** The paper concludes that improving nutritional quality requires a multisectoral approach, combining economic incentives, nutritional education, and strict technological regulations. To reduce social inequality, state intervention through school nutrition programs, support for local production, and the implementation of food fortification methods are a priority.

Keywords: Economic accessibility, nutritional quality, price stability, social inequality, ultra-processed food, Georgia.

Recommended Citation: Nino Dzirkevelishvili, Tamta Utnelishvili. (2026). Food Prices and Nutritional Quality in Georgia: Socio-Economic and Technological Factors. Health Policy, Economics and Sociology, 10(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2026.10.01.9>.

შესავალი

კვება ადამიანის ჯანმრთელობის, ფიზიკური და შემეცნებითი განვითარების ერთ-ერთი ფუნდამენტური დეტერმინანტია. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO, 2020) თანახმად, ბალანსირებული კვება მნიშვნელოვნად ამცირებს არაგადამდები დაავადებების რისკს და აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს.

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში სურსათის უსაფრთხოება და კვების ხარისხი საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანეს დეტერმინანტად გვევლინება. საკითხის აქტუალურობას განაპირობებს ის მჭიდრო კორელაცია, რომელიც არსებობს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობასა და ნუტრიციულ სტატუსს შორის. ბოლო წლებში სურსათის ფასების ცვალებადობამ და იმპორტდამოკიდებულებამ, განსაკუთრებით განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, დღის წესრიგში დააყენა „ფარული შიმშილის“ პრობლემა, როდესაც ენერგეტიკული მოთხოვნილება კმაყოფილდება იაფი, თუმცა ნუტრიციულად ღარიბი პროდუქტებით.

საქართველოს კონტექსტში აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო მწვავედება შემოსავლების უთანასწორობისა და რეგიონული განსხვავებების ფონზე. მაღალი ჰიგიენური და ტექნოლოგიური სტანდარტების დანერგვა, რაც აუცილებელია სურსათის უვნებლობისთვის, ხშირ შემთხვევაში იწვევს საწარმოო ხარჯების ზრდას, რაც საბოლოოდ აისახება პროდუქტის ფასზე და ზღუდავს ჯანსაღი კვების ხელმისაწვდომობას დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისთვის. შესაბამისად, სურსათის ფასსა და კვებით ხარისხს შორის ბალანსის ძიება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური სტაბილურობისა და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვის წინაპირობაა.

წინამდებარე ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოში სურსათის ფასებსა და კვებით ხარისხს შორის არსებული ურთიერთკავშირის კომპლექსური ანალიზი და მისი გავლენის შეფასება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაკროინდიკატორებზე. კვლევა მიმართულია იმ ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც განსაზღვრავენ მოსახლეობის კვებით არჩევანს სხვადასხვა ასაკობრივ და სოციალურ ჯგუფში.

ნაშრომის ფარგლებში განხილულია სურსათის დამუშავების დონისა და რეგიონული ხელმისაწვდომობის გავლენა ისეთ ქრონიკულ დაავადებებზე, როგორცაა სიმსუქნე და შაქრიანი დიაბეტი. საბოლოო ჯამში, კვლევა ისახავს მიზნად მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების შემუშავებას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო პოლიტიკის ოპტიმიზაციას ჯანსაღი საკვების ფინანსური და ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით.

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შერეული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ანალიზს.

კვლევის დიზაინი და მონაცემთა წყაროები

კვლევა ეფუძნება მეორეულ მონაცემთა ანალიზს. ინფორმაციის წყაროებად გამოყენებულია:

ოფიციალური სტატისტიკა: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (Geostat) 2024 წლის მონაცემები შინამეურნეობების შემოსავლების, ხარჯებისა და სურსათის ფასების ინდექსის შესახებ.

საერთაშორისო ანგარიშები: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO), სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და მსოფლიო ბანკის პუბლიკაციები.

აკადემიური ლიტერატურა: Google Scholar, PubMed და ResearchGate-ის ბაზებში არსებული რეცენზირებული სტატიები, რომლებიც ეხება ნუტრიციულ ეკონომიკასა და სურსათის უსაფრთხოებას.

მონაცემთა ანალიზის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა შემდეგი ანალიტიკური ინსტრუმენტები:

შედარებითი ანალიზი: მოხდა საქართველოს კვებითი რაციონის სტრუქტურის შედარება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებთან და ფიზიოლოგიურ ნორმებთან.

სტატისტიკური აღწერა: ჭარბწონიანობის, დიაბეტისა და სურსათის ფასების დინამიკის ანალიზი ასაკობრივი და რეგიონული ჭრილის მიხედვით.

კორელაციური ანალიზი: დადგინდა კავშირი მოსახლეობის მსყიდველუნარიანობასა და ულტრა-დამუშავებული პროდუქტების მოხმარების ინტენსივობას შორის.

კვლევის ცვლადები

ანალიზისას აქცენტი გაკეთდა შემდეგ ძირითად ცვლადებზე:

- დამოუკიდებელი ცვლადი: სურსათის ფასი და შინამეურნეობების შემოსავლების დონე.
- დამოკიდებული ცვლადი: კვებითი რაციონის ხარისხი (ცილების, ვიტამინებისა და მიკროელემენტების წილი) და მასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის ინდიკატორები.

კვლევის შეზღუდვები

ნაშრომზე მუშაობისას გამოიკვეთა გარკვეული შეზღუდვები:

მონაცემთა ხელმისაწვდომობა მაღალმთიან რეგიონებში სურსათის ფასების შესახებ ხშირად ფრაგმენტულია.

მოსახლეობის კვებითი ქცევის შესახებ ინფორმაცია დიდწილად ეყრდნობა გამოკითხვებს, რაც შესაძლოა შეიცავდეს სუბიექტურობის ელემენტებს.

შედეგები

სურსათის უსაფრთხოება ოთხი ურთიერთდაკავშირებული განზომილებისგან შედგება: არსებობა, ხელმისაწვდომობა, მოხმარება (გამოყენება) და სტაბილურობა. ფასების ცვალებადობა სტაბილურობის საკვანძო ინდიკატორია, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მოსახლეობის კვებით სტატუსსა და ქცევაზე (მამნიაშვილი, 2024).

სურსათის მიწოდებისა და სტაბილურობის ინდიკატორები

ქვემოთ მოცემული მონაცემები ასახავს ქვეყანაში სურსათის არსებობისა და მისი სტაბილურობის მიმდინარე მაჩვენებლებს:

1. არსებობის ინდიკატორები:

- კვებითი რაციონის ადეკვატურობის საშუალო მაჩვენებელი: 110-112%;
- ენერჯის წილი (მარცვლეული, ბოლქვოვანი კულტურები): 60%;
- ცილების საშუალო მიწოდება: \$76.5\$ გრ/დღე;
- ცხოველური წარმოშობის ცილების წილი: \$29.3\$ გრ/დღე;
- სურსათის წარმოების ინდექსი: \$113.6\$ აშშ დოლარი ერთ სულ მოსახლეზე.

2. სტაბილურობის ინდიკატორები:

- შიდა ფასების ცვალებადობის ინდექსი: 10-20%;
- წარმოების ვარიაციულობა (ერთ სულზე): 16.7%;
- მიწოდების ვარიაციულობა: 2300-2900 კკალ/დღე.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ წარმოების მოცულობა შედარებით ადეკვატურია, ფასების მერყეობა და მიწოდების არასტაბილურობა კვლავ კრიტიკულ გამოწვევად რჩება.

სურსათის ფასი, როგორც კვებითი არჩევანის დეტერმინანტი

სურსათის ხელმისაწვდომობა გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ბაზარზე არსებობს საკმარისი რაოდენობის ნუტრიციულად სრულფასოვანი პროდუქტი და მოსახლეობას გააჩნია მათი შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობა. საქართველოში ფინანსური ხელმისაწვდომობა კვლავ მწვავე პრობლემაა, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა სოფლად მცხოვრებ და სოციალურად მოწყვლად ჯგუფებში.

შემოსავლების უთანასწორობა (ჯინის კოეფიციენტი ≈ 0.35) პირდაპირ აისახება მოსახლეობის კვებით რაციონზე. CRRC Georgia-ს 2024 წლის კვლევის მიხედვით:

- მოსახლეობის 53% ვერ ახერხებს საკმარისი საკვების შექმნას ან იძულებულია აიღოს ვალი;
- 45%-ს გასული წლის განმავლობაში ერთხელ მაინც არ ეყო შემოსავალი კვებისთვის;
- 36%-მა ბოლო 6 თვის მანძილზე სესხის მეშვეობით დააფინანსა კვების ხარჯები.

ფასისადმი მაღალი მგრძობელობა ცვლის კვების რაციონს ნახშირწყლების სასარგებლოდ. საქართველოში პურპროდუქტების მოხმარება 1.8-2.0-ჯერ აჭარბებს ფიზიოლოგიურ ნორმას. მაშინ, როცა განვითარებულ ქვეყნებში პურის წილი რაციონში 12-15%-ია, საქართველოში ის დომინანტური კომპონენტია. ეს გამოწვეულია იმით, რომ პურპროდუქტები ენერგეტიკულად იაფი ალტერნატივაა ხორცის, თევზის, რძის ნაწარმისა და ხილ-ბოსტნეულის ფონზე. ასეთი დისბალანსი იწვევს:

- მიკრონუტრიენტების დეფიციტს (ფარული შიმშილი);
- მეტაბოლურ დარღვევებსა და ჭარბწონიანობას;
- არაგადამდები დაავადებების რისკის ზრდას.

საქსტატის 2024 წლის მონაცემებით, დაბალი შემოსავლის მქონე შინამეურნეოები (32%) და საშუალო შემოსავლის მქონე ჯგუფები (43%) ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს სურსათზე ხარჯავენ. ეკონომიკური შეზღუდვები განსაკუთრებით საზიანოა ბავშვებისა და ხანდაზმულებისთვის, სადაც ნუტრიციული დეფიციტი შეუქცევად ფიზიკურ და ჯანმრთელობის პრობლემებს იწვევს (FAO, 2019). შესაბამისად, სურსათის ფასი არა მხოლოდ ეკონომიკური ცვლადი, არამედ საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და დემოგრაფიული მდგრადობის განმსაზღვრელი ფაქტორია.

ცხრილი 1. სურსათზე ხარჯების განაწილება შემოსავლის მიხედვით (საქართველო, 2024)

შემოსავლის კატეგორია	სურსათზე ხარჯი ბიუჯეტის %	ძირითადად გამოყენებული პროდუქტი
დაბალი (<800 ლარი)	35-40%	იაფი, დამუშავებული საკვები
საშუალო (800–1500 ლარი)	25-30%	შერეული - ადგილობრივი იმპორტირებული
მაღალი (>1500 ლარი)	15-20%	ჯანსაღი, ადგილობრივი და იმპორტირებული

სურსათის იმპორტზე დამოკიდებულება კიდევ უფრო ზრდის ფასების ცვლილებების მგრძობელობას, რაც განსაკუთრებით მოქმედებს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებზე.

კვებითი ხარისხის მნიშვნელობა და მისი გავლენა საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე

კვებითი ხარისხი განსაზღვრავს პროდუქტის ნუტრიციულ შემადგენლობას და მის პოტენციალს, უზრუნველყოს ორგანიზმი ისეთი ეგზოგენური ნივთიერებებით, როგორცაა ცილები, ვიტამინები და მინერალები. მაღალი კვებითი ღირებულების მქონე სურსათი ხელს უწყობს იმუნური სისტემის ოპტიმალურ ფუნქციონირებას, ორგანიზმის ბიოლოგიური ჰომეოსტაზის შენარჩუნებას და გადამწყვეტ როლს ასრულებს ქრონიკული დაავადებების პრევენციაში (WHO, 2020; Harvard University, 2023).

ემპირიული კვლევები ადასტურებს კორელაციას დაბალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტების ჭარბ მოხმარებასა და არაგადამდები დაავადებების ექსპანსიას შორის. კერძოდ,

აღინიშნება სიმსუქნის, მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტისა და გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიების ზრდა (Rao et al., 2013).

ცხრილი 2. ჭარბწონიანობისა და დიაბეტის პრევალენტობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით საქართველოში (2024)

ასაკობრივი ჯგუფი	ჭარბწონიანობა (%)	დიაბეტი (%)
18–34	42	4
35–54	58	10
55+	65	18

სურსათის ფასისა და კვებითი ხარისხის ურთიერთკავშირი

აკადემიური ლიტერატურა მიუთითებს, რომ მაღალი ნუტრიციული ღირებულების მქონე საკვები პროდუქტები, საშუალოდ, უფრო მაღალი საბაზრო ღირებულებით ხასიათდება, ვიდრე რაფინირებული და ინდუსტრიულად დამუშავებული ალტერნატივები (Drewnowski, 2010). წარმოების, ლოჯისტიკისა და სპეციფიკური შენახვის პირობების ხარჯთეღვანობა განაპირობებს სარეალიზაციო ფასის ზრდას, რაც დაბალშემოსავლიან მომხმარებლებს აიძულებს, არჩევანი ნაკლებად ჯანსაღ, მაგრამ ეკონომიკურად ხელმისაწვდომ პროდუქტებზე შეაჩერონ.

რეგიონული განსხვავებები და სეზონურობა:

გეოგრაფიული ფაქტორი: თბილისსა და ბარში ხილსა და ბოსტნეულზე ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა მაღალია, მაშინ როცა მაღალმთიან რეგიონებში ლოჯისტიკური სირთულეების გამო ფასები მნიშვნელოვნად იზრდება.

იმპორტდამოკიდებულება: ადგილობრივი ბაზრის მაღალი დამოკიდებულება იმპორტზე ზრდის სურსათის ფასების ცვალებადობას და ამცირებს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას.

ცხრილი 3. სეზონური ხილის საშუალო ფასები და ხელმისაწვდომობის ინდექსი რეგიონულ ჭრილში (2024)

რეგიონი	პროდუქტი (კგ)	საშუალო ფასი (ლარი)	ხელმისაწვდომობა (1–5 სკალა)
თბილისი	ვაშლი	3.5	5
სამეგრელო	ვაშლი	4.0	4
მაღალმთიანი რეგიონები	ვაშლი	5.5	3

საკვები ჯგუფების გავლენა ჯანმრთელობის გამოსავალზე

საქართველოში კვებითი რაციონის სტრუქტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული პროდუქტების ფასთან. ქვემოთ მოცემული ანალიზი გვიჩვენებს კავშირს მოხმარების ინტენსივობასა და ჯანმრთელობის პოტენციურ შედეგებს შორის.

ცხრილი 4. საკვები ჯგუფების კვებითი ღირებულება და გავლენა ჯანმრთელობაზე (საქართველოს მაგალითი)

საკვების ჯგუფი	ძირითადი ნუტრიენტები	მოხმარების დონე საქართველოში	პოზიტიური გავლენა	უარყოფითი გამოსავალი (დეფიციტის/ჭარბი მოხმარებისას)
ხილი და ბოსტნეული	ვიტამინები, ბოჭკო	საშუალო-დაბალი	იმუნიტეტის გაძლიერება	ინფექციებისადმი დაბალი რეზისტენტობა
მარცვლეული	კომპლექსური ნახშირწყლები	საშუალო	ენერგეტიკული ბალანსი	-
ხორცი და ზღვის პროდუქტები	ცილა, რკინა, ომეგა-3	დაბალი (მაღალი ფასის გამო)	კუნთოვანი მასის განვითარება	ანემია; ჭარბი წითელი ხორცი → კარდიოვასკულური რისკები
ულტრა-დამუშავებული საკვები	შაქარი, ნატრიუმი, ტრანსცხიმები	მაღალი (დაბალი ფასის გამო)	-	სიმსუქნე, დიაბეტი, მეტაბოლური სინდრომი
რძის პროდუქტები	კალციუმი, ვიტამინი D	საშუალო (ვარიირებს რეგიონულად)	ოსტეოგენეზის ხელშეწყობა	ოსტეოპოროზი, ზრდის შეფერხება

წყაროები: World Health Organization, 2020; Rao et al., 2013; Pap'iashvili & Verulava, 2024; Geostat, 2024.

სურსათის ხარისხის მრავალგანზომილებიანი ბუნება

თანამედროვე კვების სისტემებში სურსათის ხარისხი კომპლექსური ფენომენია, რომელიც ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შედგება. იგი სცდება მხოლოდ გემოვნურ თვისებებს და მოიცავს შემდეგ განზომილებებს:

- ნუტრიციული ხარისხი: პროდუქტის ბიოლოგიური ღირებულება და მისი უნარი, დააკმაყოფილოს ორგანიზმის მოთხოვნა მაკრო და მიკრონუტრიენტებზე.
- ტექნოლოგიური ხარისხი: წარმოებისა და კონსერვაციის მეთოდები (პასტერიზაცია, ვაკუუმური შეფუთვა, „ცივი ჯაჭვი“), რაც განსაზღვრავს პროდუქტის სტაბილურობასა და ორგანოლეპტიკურ თვისებებს.
- სურსათის უვნებლობა: მიკრობიოლოგიური და ქიმიური სისუფთავე, რაც რეგულირდება საერთაშორისო სტანდარტებით (მაგ. HACCP, ISO 22000).

ტექნოლოგიური ფაქტორების გავლენა კვებით ღირებულებაზე და ფასზე

ტექნოლოგიური პროგრესი სურსათის ინდუსტრიაში ორმხრივი ეფექტით ხასიათდება. ერთი მხრივ, ინდუსტრიალიზაციამ შესაძლებელი გახადა პროდუქციის მასობრივი წარმოება და თვითღირებულების შემცირება, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების ფინანსური ხელმისაწვდომობისთვის. მეორე მხრივ, ამ პროცესმა ხელი შეუწყო ულტრა-დამუშავებული (Ultra-processed) საკვების დომინირებას ბაზარზე.

ტექნოლოგიური პარადოქსი: ულტრა-დამუშავებული პროდუქტები ხასიათდება ხანგრძლივი შენახვის ვადითა და დაბალი ფასით, თუმცა მათი წარმოების პროცესში ხდება

ნუტრიენტების დეგრადაცია და ხელოვნური დანამატების (ემულგატორები, კონსერვანტები) კონცენტრაციის ზრდა.

ცხრილი 5. სურსათის დამუშავების ხარისხის ნუტრიციულ-ეკონომიკური შედარება

ინდიკატორი	მინიმალურად დამუშავებული	ულტრა-დამუშავებული	ტექნოლოგიური ფუნქცია
ფასი	საშუალო / მაღალი	დაბალი	მასშტაბის ეკონომია
შენახვის ვადა	ხანმოკლე	ხანგრძლივი	სტერილიზაცია, კონსერვაცია
დანამატები	მინიმალური/ნულოვანი	მაღალი კონცენტრაცია	სტაბილიზაცია, გემოს გაძლიერება
კვებითი ღირებულება	ნატურალური, მაღალი	დაბალი (ენერგეტიკულად მკვრივი)	ნუტრიენტების ფორტიფიკაციის შესაძლებლობა
ხელმისაწვდომობა	სეზონური / ლოკალური	მაღალი / გლობალური	ციფრული ლოჯისტიკა და მიწოდების ჯაჭვი

საქართველოს კონტექსტი: გამოწვევები და პერსპექტივები

საქართველოსთვის, როგორც იმპორტზე დამოკიდებული ქვეყნისთვის, სურსათის ფასების ცვალებადობა პირდაპირ კავშირშია გაცვლითი კურსის მერყეობასთან და საერთაშორისო ბაზრების კონიუნქტურასთან.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ 2024-2025 წლებში განხორციელებული აქტიური ინსპექტირება ზრდის სტანდარტებისადმი შესაბამისობას, თუმცა ეს პროცესი გარკვეულწილად აისახება პროდუქტის საბოლოო ფასზე:

- სტანდარტიზაციის ხარჯი: მაღალი ჰიგიენური და ტექნოლოგიური სტანდარტების დანერგვა (HACCP) ზრდის საოპერაციო ხარჯებს.
- ნდობის ფაქტორი: მიუხედავად ფასის ზრდისა, ხარისხის მკაცრი კონტროლი ამცირებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის რისკებს და ზრდის მომხმარებლის ლოიალობას ადგილობრივი წარმოებისადმი.

ფასისა და ხარისხის ბალანსის მისაღწევად აუცილებელია:

- მცირე ფერმერების ტექნოლოგიური მხარდაჭერა: თანამედროვე სასაწყობე და სამაცივრე ინფრასტრუქტურის განვითარება სეზონური მერყეობის შესამცირებლად.
- სურსათის ფორტიფიკაცია: ტექნოლოგიების გამოყენება იაფი პროდუქტების (მაგ. ფქვილი) მიკრონუტრიენტებით გასამდიდრებლად.
- ციფრული ეტიკეტირება: მომხმარებლის ინფორმირებულობის გაზრდა, რათა ფასზე ორიენტირებული არჩევანი ნაწილობრივ ჩანაცვლდეს ხარისხზე ორიენტირებული ქცევით.

განათლებისა და ინფორმაციის როლი

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს მომხმარებელთა საკვების კვებით ღირებულების შესახებ დაბალი ინფორმირებულობა. კვლევები მიუთითებენ, რომ მრავალი ადამიანი ვერ აფასებს საკვების ნუტრიციულ მნიშვნელობას და არჩევანს ხშირად მხოლოდ ფასის მიხედვით აკეთებს, რაც იწვევს არაადაპტაციურ ფორმებზე გადასვლას (Darmon & Drewnowski, 2008).

კვებითი განათლების ამაღლება კი პირდაპირ ასოცირდება ჯანსაღი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობასთან, თუნდაც შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში. კვლევებით დადასტურდა, რომ მოსახლეობისთვის ცნობიერების ამაღლება ზრდის ხილის, ბოსტნეულის და სხვა კვებითი პროდუქტების მოხმარების ალბათობას, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად ამცირებს ქრონიკული დაავადებების რისკს (World Health Organization, 2020).

საქართველოს საგანმანათლებლო და სახელმწიფო პროგრამები

კვებითი განათლება პირდაპირ უკავშირდება ჯანსაღ არჩევანს. ინფორმირებული მომხმარებელი უკეთ ახერხებს შეზღუდული რესურსის პირობებშიც შედარებით დაბალანსებული დიეტის შენარჩუნებას (WHO, 2020). საქართველოში სკოლებში არსებული პროგრამები დადებით გავლენას ახდენს ბავშვთა კვებით ჩვევებზე, თუმცა დაფარვა შეზღუდულია (Papiashvili & Verulava, 2024).

საგანმანათლებლო ინიციატივებიდან აღსანიშნავია სკოლებში ჯანსაღი კვების პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ ხილისა და ბოსტნეულის სუბსიდირებულ მიწოდებას. მსგავსი პროგრამები მიზნად ისახავს ბავშვების კვებითი ჩვევების ფორმირებას, ჯანსაღი საკვების ხელმისაწვდომობის გაზრდას და ოჯახის შემოსავლის შეზღუდვების პირობებშიც ჯანსაღი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას (Papiashvili & Verulava, 2024).

ქვეყანაში მოქმედებს რამდენიმე ადგილობრივი კამპანია, როგორცაა „ჯანსაღი სკოლის დღე“ და საჯარო კვებითი პროგრამები რეგიონებში, რომლებიც ცდილობენ სურსათის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და კვებითი განათლების გაძლიერებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების დაფარვა და დაფინანსება ჯერ კიდევ შეზღუდულია, მათი ეფექტური გამოყენება ხელს უწყობს არაჯანსაღი დიეტის გავრცელების შემცირებას, სიმსუქნისა და ქრონიკული დაავადებების პრევენციას, განსაკუთრებით ბავშვებში და ახალგაზრდებში. (Papiashvili & Verulava, 2024).

ცხრილი 6. საგანმანათლებლო პროგრამები სკოლებში (საქართველო, 2024)

სკოლა / რეგიონი	პროგრამა	სუბსიდირებული ხილი/ბოსტნეული	პროგრამის მიმღები ბავშვების %
თბილისი, საჯარო სკოლა #12	ჯანსაღი სკოლის დღე	ხილი + ბოსტნეული	85%
ქუთაისი, საჯარო სკოლა #5	სკოლებში ჯანსაღი კვება	ხილი	60%
სიღნაღი, სკოლა #3	სუბსიდირებული კვება	ხილი	40%

სოციალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ასპექტები

სურსათის ფასისა და ნუტრიციულ ხარისხს შორის არსებული დისპროპორცია სცილდება ინდივიდუალური არჩევანის ფარგლებს და საზოგადოებრივი ჯანდაცვის გლობალურ გამოწვევას წარმოადგენს. დაბალი კვებითი ღირებულების მქონე პროდუქტების დომინირება რაციონში პირდაპირპროპორციულად ზრდის არაგადამდები დაავადებების პრევალენტობას,

რაც მნიშვნელოვან ფისკალურ ტვირთად აწევს სახელმწიფო ბიუჯეტს და ჯანდაცვის სისტემას (World Health Organization, 2020).

გლობალური პრაქტიკა აჩვენებს, რომ ჯანსაღი კვების ხელმისაწვდომობის გაზრდა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან პროაქტიულ ინტერვენციას. საერთაშორისო ორგანიზაციების (FAO, 2019; Darmon & Drewnowski, 2008) რეკომენდაციით, ეფექტურ ინსტრუმენტებს შორისაა:

- ფისკალური პოლიტიკა: სუბსიდიები ჯანსაღ პროდუქტებზე და საგადასახადო შედეგები ადგილობრივი მწარმოებლებისთვის;
- ინსტიტუციური პროგრამები: უფასო ან სუბსიდირებული ჯანსაღი კვება სკოლებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში;
- რეგულაციები: მაღალპროცესირებული და ტრანსცხიმებით მდიდარი პროდუქტების მარკეტინგის შეზღუდვა.

საქართველოში არსებული ეკონომიკური კონტექსტი, სურსათის მაღალი ინფლაცია, იმპორტდამოკიდებულება და დაბალი მსყიდველუნარიანობა, აიძულებს შინამეურნეობების მნიშვნელოვან ნაწილს, უპირატესობა მიანიჭოს ენერგეტიკულად მკვრივ, მაგრამ ნუტრიციულად ღარიბ პროდუქციას.

აღნიშნული დისბალანსის აღმოსაფხვრელად აუცილებელია კომპლექსური მიდგომა:

- ცნობიერების ამაღლება: ნუტრიციული განათლების ინტეგრირება საგანმანათლებლო სისტემაში;
- სკოლის კვების რეფორმა: ჯანსაღი კვების სტანდარტების დანერგვა საჯარო სკოლებში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ჯანსაღი კვებითი ჩვევების ფორმირების გარანტიაა;
- ადგილობრივი წარმოების სტიმულირება: აგრო-სექტორის მხარდაჭერა სეზონური პროდუქტების ფასების სტაბილიზაციის მიზნით (Papiashvili & Verulava, 2024; Geostat, 2024).

აღნიშნულიდან გამომდინარე, სურსათის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ნუტრიციული ხარისხის შენარჩუნებით არის ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და დემოგრაფიული მდგრადობის წინაპირობა.

დასკვნა

საბოლოო ანგარიშით, სურსათის ფასი და კვებითი ხარისხი განაპირობებს როგორც ინდივიდუალური, ისე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მაჩვენებლებს. სტაბილური კვებითი სისტემა საჭიროებს მაკროეკონომიკური სტაბილიზაციას, რაც მოიცავს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და სურსათზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. დაბალშემოსავლიანი ოჯახები ხშირად ირჩევენ იაფ, მაგრამ კვებითად ღარიბ პროდუქტებს, რაც იწვევს კვებითი დისბალანსს, ქრონიკული დაავადებების გავრცელებას და ჯანმრთელობის გაუარესებას.

კვლევები აჩვენებს, რომ ფასსა და კვებით ხარისხს შორის ურთიერთკავშირი განისაზღვრება როგორც მიკრო და მეზო დონით (ინდივიდუალური შემოსავლები, ბაზრის სტრუქტურა, ტრანსპორტირების ხარჯები), ასევე მაკრო დონით- სახელმწიფო პოლიტიკით, რეგულაციებით და სუბსიდიებით.

ტექნოლოგიური ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფასის და ხარისხის დინამიკაში: თანამედროვე ტექნოლოგიები ზრდის ულტრაპროცესირებული საკვების მასობრივ წარმოებას, რაც იწვევს იაფი, მაგრამ ნუტრიციულად ღარიბი პროდუქტების ხელმისაწვდომობას. ამასთან, ხარისხის კონტროლი, ეკოლოგიური და სერტიფიცირებული პროდუქციის წარმოება ზრდის წარმოების ხარჯებს და შესაბამისად ფასს, თუმცა ამავე დროს უზრუნველყოფს პროდუქციის სანდობას, უსაფრთხოებას და მომხმარებელთა ნდობას. საქართველოში სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული კონტროლი და

ინსპექტირებები ხელს უწყობს მაღალი ჰიგიენური სტანდარტების დანერგვას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ბაზრის სტაბილურობის ფაქტორია.

მომავალში მნიშვნელოვანია სურსათის ფასებზე მოქმედი სტრატეგიული ფაქტორების შესწავლა და რეალიზება:

- ფასების ცვლილების სიჩქარისა და მასშტაბის ანალიზი მიწოდების ჯაჭვის შიგნით;
- საერთაშორისო ბაზრის ფასების, გაცვლითი კურსისა და სავაჭრო პოლიტიკის ცვლილებების გავლენის შეფასება ადგილობრივ ფასებზე;
- ტრანსპორტირების, წარმოებისა და შეფუთვის ხარჯების, ასევე საცალო მოვაჭრეების ქცევის ანალიზი;
- ბაზრის სტრუქტურისა და კონკურენციის ხარისხის გავლენა საკვების მწარმოებლების ქცევაზე ფასების გადაცემის ეფექტიანობისა და სიჩქარეზე;
- კვების ინდუსტრიასთან დაკავშირებული გადასახადების, სუბსიდიებისა და სავაჭრო შეზღუდვების შეფასება;
- საქონლის ფასებთან დაკავშირებული რყევების გავლენის ანალიზი საცალო ვაჭრობის ფასებზე, სურსათის ხელმისაწვდომობაზე და მომხმარებელთა კეთილდღეობაზე.

თანამედროვე ტექნოლოგიები და ხარისხის კონტროლი ქმნის პარადოქსულ რეალობას: ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საკვების მასობრივ ხელმისაწვდომობას, ხოლო მეორეს მხრივ, ზრდის დაბალი ნუტრიციული ღირებულების მქონე პროდუქტების გავრცელებას. ამიტომ სურსათის პოლიტიკა უნდა იყოს სტრატეგიულად ორიენტირებული იმაზე, რომ ეკონომიკური ეფექტიანობა, მაღალი კვებითი ხარისხი, უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა გაერთიანდეს ერთ სისტემაში.

საბოლოო ჯამში, სურსათის ფასისა და კვებითი ხარისხის ურთიერთკავშირი მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, რომელიც აერთიანებს ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს. ეს არის აუცილებელი როგორც ინდივიდუალური კვებითი გადაწყვეტილებების გასაუმჯობესებლად, ასევე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა-დამძლევის და ბაზრის სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მამნიაშვილი გ. (2024). ბავშვთა კვების პროდუქტების შერჩევა: ნდობა, ღირებულების აღქმა და ყიდვის ქცევა. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 8(2). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2024.08.02.15>
2. პაპიაშვილი თ., & ვერულავა თ. (2024). სტუდენტთა დამოკიდებულება ჯანსაღი კვების მიმართ და მათი კვებითი ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები. *ჯანდაცვის პოლიტიკა, ეკონომიკა და სოციოლოგია*, 8(1). <https://doi.org/10.52340/healthecosoc.2024.08.01.01>
3. Darmon, N., & Drewnowski, A. (2008). Does social class predict diet quality? *American Journal of Clinical Nutrition*, 87(5), 1107–1117. <https://doi.org/10.1093/ajcn/87.5.1107>
4. Drewnowski, A. (2010). The cost of US foods as related to their nutritive value. *American Journal of Clinical Nutrition*, 92(5), 1181–1188. <https://doi.org/10.3945/ajcn.2010.29269> [16.02.2026]
5. Food and Agriculture Organization of the United Nations (FAO). (2019). *The State of Food Security and Nutrition in the World 2019*. Rome: FAO. <https://www.fao.org/3/ca5162en/ca5162en.pdf> [16.02.2026]
6. Geostat. (2024). *Household Budget Survey, Georgia*. Tbilisi: Geostat. [16.02.2026]
7. Monteiro, C. A., Cannon, G., Lawrence, M., Costa Louzada, M. L., & Pereira Machado, P. (2019). Ultra-processed foods: what they are and how to identify them. *Public Health Nutrition*, 22(5), 936–941. <https://doi.org/10.1017/S1368980018003762>
8. Oxfam European Union for Georgia. (n.d.). Food security and nutritional status assessment in Georgia. *Oxfam*. <https://oxfam.org.ge/publications> [16.02.2026]

9. Rao, M., Afshin, A., Singh, G., & Mozaffarian, D. (2013). Do healthier foods and diet patterns cost more than less healthy options? *BMJ Open*, 3(12), e004277. <https://bmjopen.bmj.com/content/3/12/e004277> [16.02.2026]
10. Srour, B., Fezeu, L., Kesse-Guyot, E., et al. (2019). Ultra-processed food intake and risk of cardiovascular disease: prospective cohort study (NutriNet-Santé). *BMJ*, 365, 11451. <https://doi.org/10.1136/bmj.11451>
11. World Health Organization. (2020). Healthy diet: Key facts. *WHO*. <https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/healthy-diet> [16.02.2026]